


საქართველო
საბჭოთაოთქვე

ნიშადური



№ 46

საქართველო საბჭოთაოთქვე

№ 46

«ნიშადური» დღეიდან წლის დაძლევაზე ღირს 3 კ. 50 კ. ხოლო წლიურ ხელის მოძვერთ (5 მ) გაეკ სავენება უველა ძველი მსახიბი, ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი და «ნიშადურის კრებულები»
იუილება წარსული წლის სრული კომპლექტი უდით—2 მან.

მისამართი: Тифლისь, Валеріану Гуніа, ред. «Нишадური».

ქართველი საზოგადო მოღვაწენი



ნიკ. ზ. ცხეველაძე (35 წლის მოღვაწეობის გამო)

„ქარველ. შარის წერა-კითხ. გამაგრც. საზოგადოების

ადრესი

რომელიც მიერთვა ნ. ცხეველაძე.

„ზიდად პატივცემულო ბ-ნო ნიკოლოზი 1879 წელს დაარსდა ქ. შ. წ. კ. გამაგრცელე ბელი საზოგადოება და თქვენ იყავით ერთი იმ პირთაგანი, რომელიც იღებდით მხურვალე და ახლობელს მონაწილეობას «საზოგადოების» დაარსებაში. საზოგადოების მოღვაწეობის პირველი დღიდანვე თქვენ სხვებთან ერთად ჩაუდგით თავში საქმეებს და 28 წელიწადი დაუღალავად, მთელის ძალით და ღონით, ემსახურებოდით წერა-კითხვის გავრცელების საქმეს, ხან როგორც წევრი საზოგადოებისა და ხან როგორც საზოგადოების თავმჯდომარის აშხანაგი. წ. კ. გამაგ. საზოგადოების წევრებმა უკვე მიაქციეს ყურადღება თქვენს ასეთ მოღვაწეობას და ამ ოთხი წლის წინაუ ერთხმად აგირჩიეს საზოგადოების საპატიო წევრად. უკანასკნელ საზოგადო კრებაზე, გამგეობის, ამ წლის 9—მარტს, ახალ არჩევნების დროს თქვენმა რწმუნებულმა თავმჯდომარეს აუწყა, რომ თქვენ აღარ შეგიძლიანთ დარჩეთ განგეობაში. კრებამ მოისმინა ეს განცხადება და დაადგინა, გამოგეცხადოთ თქვენ უღრმესი მადლობა ხანგრძლივ, მხნე და უანგარო ნაყოფიერ მუშაობისათვის წ. კ. საზოგადოებაში. გამგეობა უერთდება ამ დადგენილებას და თავის სასიამოვნო მოვალეობადა სთვლის, თავის მხრივაც მოგასენოსთ გულწრფელი მადლობა და პატივისცემა“.

მბარნი ხართ თუ მოუვარენი?!

„ზნედავთ, ვითარის კანდიერებით,
შეკრებების ჩვენზედ „უსჯულობა“.
ნ. ბ.

IV

ბოლო თუ რა „ფეოდალობას“ იცავდა ჩვენი თავდა-
 აზნაურობა და როგორ ებრძოდა ბიუროკრატის, ქვეყნის
 გამაბედნიერებელი ახალი მთავრობის ბატონობას,—ეს ბო-
 ლოს და ბოლოს იქიდანაცა სჩანს, რომ კახეთის ამბოხების
 „ჩაქრობის“ შემდეგ, როცა ჩვენი „მოკეთე“ პაულუჩი რუ-
 სეთს წავიდა,—მთელმა ბრწყინვალე წოდებამ დრალი მორ-
 თო,—არიქა, სად მიდის პაულუჩი, რაღა გვეშველება, ვიღა
 გადაგვაბუკვინებს მეორეჯერ და მესამეჯერ საქართველოსაო!.,
 მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო ჩვენი უბედურობისა,
 ჩვენში მართლაც და ველური ხალხის შემოსევისა,—მთლად
 ჩვენი კულტურა გასთელეს ფეხ-ქვეშ მთელი ასის წლის გან-
 მავლობაში, ჩვენი შინაგანი იურიდიული ორგანოები მოსპეს.
 „საქართველო მიეკვდლა რუსეთს მზა-მზარეული სახელმწიფო
 მექანიზმით, ჯარით, მოხელეობით, კანონმდებლობით, პო-
 ლიცია-ადმინისტრაციით, განვითარებული წოდებრივი უფლე-
 ბით,—თავდაზნაურობით, სამღვდლოებით, გლეხ-კაცობით,
 მიწის მფლობელობაც კელაპტარსავით ჩამოსხმული იყო და
 საკუთარი, გარკვეული ფორმა ჰქონდა. დარღვევას ვერაფერა
 ჰბედავდა, რადგან დარჯად ჩვეულება ედგა. ჩვეულება, ადა-
 თი დაწერილ კანონზე უფრო სასტიკი და უღმრთელი იყო.
 ი გ ი ვ ე ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა — ა დ ა თ ს გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი
 ჰ ქ ო ნ დ ა ხ ა რ ჯ ი და ბ ე გ ა რ ა . ო რ ი ვ ე ნ ი მ ძ ი-
 მ ე ტ ვ ი რ თ ა დ ა რ ა წ ვ ა ე რ ს ა, რადგან პოლიტი-
 კური და სოციალური ცხოვრება სადაც მოტივი იყო. ძველს
 ცხოვრებას ახალთან ის უპირატესობა
 ჰქონდა კიდევ. რომ გლეხკაცის ხელში და ხმარება-
 ში იყო მამულ-დედული, ტყე და წყალი. კანონი და ჩვეუ-
 ლება სიმარტივისა გამო ყველასათვის მისაწდომი იყო—ა-
 ამბობს ბ.ნი ა. ფრონელი. *)—რუსის მთავრობამ კი ყოვე-
 ლივე ეს თანდათან მოსპო, გლეხს საერთო სამოვრებიც კი
 აღარ აქვს ესლა, რითაც წინაღ სარგებლობდა ქართული კა-
 ნონით, ამასთანავე მთელი ორი წილი ტერიტორიისა სახელ-
 მწიფომ დაისაკუთრა და სხვებს ურიგებდა, რამდენიც შეეძ-
 ლო,—თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ამით მაინც და მაინც
 სრულიად ჯერ კიდევ ვერ მოგვიღო ბოლო. რაც შეეხება
 შემდეგ ბატონ-ყმობის მოსპობას,—ჯერ ერთი აქ რუსის მთა-
 ვრობას ისე არ უნდა ვუმაღლოდეთ, როგორც თვით რუსე-
 თში და ჩვენში მომხდარ მოძრაობასა, მერმე.—ყველამ იცის,
 როგორი იყო ეს „მოსპობა ბატონ-ყმობისა“, როგორი სი-
 მძიმით დაატყდა თავს იგი იმავე გლეხს, და, საერთოდ,
 ღირს თუ არა ბიუროკრატის მისთვის რაიმე მაღლობა უძ-
 ლენას კაცმა. საერთოდ კი ფეოდალობაზედ უნდა მოგახსენოთ,
 რომ თვით რუსთა მწერალთა შორისაც არიან ისეთნი, რომ-
 მელნიც საქართველოში ბატონ-ყმობის განვითარებას უმეტეს
 ნაწილად რუსეთის გავლენას აწერენ, (მაგალითად ზიბერი), **)
 მაგრამ ამაზედ არ განვავრძობთ ლაპარაკს,—იგი საგანი ძლი-


ერ სადავო და საექვოა. მაგრამ ყოველივე უკვე ვთქვამთ, რა,
 რომ ჩვენ თავდაზნაურობას არასოდეს არა-ჰქონია იმდენი
 გამორჩენა გლეხთა ექსპლოატაციისაგან, როგორც მასა ჰქო-
 ნია რუსის კანონთა დამკვიდრების შემდეგ, რუსის მთავრო-
 ბამ სრულიად და სავსებით დაიცვა ჩვენ მემამულეთა ინტე-
 რესები ბატონ-ყმობის მოსპობის დროს, და თუ იგი მიუ-
 ხედავად ამისა გადარიბდა.—მამული დაჰკარგა,—აქ რუსის
 ბიუროკრატია აღარაფერ შუაშია,—პირიქით იგი მას ყო-
 ველთვის უწყობდა ხელს; მიზეზი ამისი თვით თავდაზნაუ-
 რობის უხვირობა, ეკონომიური უნიჭობა და სიგლახეა.

რაც კი რაში გვქონია დანარჩენი ჩვენი ძველი კულტუ-
 რისა, თვით ჩვენი თანამედროვე სიმდიდრე, ფეხით გასთელეს,
 გაიტაცეს და გაჰქურდეს. ყველამ იცის, რომ დიდძალი კულ-
 ტურული სიმდიდრე ჩვენ მონასტრებში და ეკლესიებში იყო,
 ეხლა ნახეთ საუკეთესო ჩვენი მონასტრები,—შუა-მთისა, სა-
 ფარიკა, ბოდბისა და სხვანი,—რა დღე დააყენეს „კულტუ-
 რონებმა“, შუამთის მონასტერი მე თვითონ ვნახე,—უნდა
 შეჰხვდეთ, როგორის ბარბაროსობით შეუღლესიათ კირით
 ძველი მხატრობა! ასეთივე დღე დააყენეს საფარის მონასტერს,
 რომელიც მიითვისეს რუსის ბერებმა. ბოდბის მონასტერშიაც
 იუბტის სუნი დაატრიალეს. და განა ნარტო ამ მონასტრებ-
 სა,—თითქმის ყველას ესეთივე დღე დაადგა. თითქმის ყველ-
 გან წაშალეს და წაფხიკეს ჩვენი მხატვრობა, ან კირით შე-
 თითხნეს და ან სუზდალის ხელოვნებით შეამკეს. ქურდობას
 ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ნაშთი მწერლობისა, ხუროთ-
 მოძღვრებისა, ოქროსა და ვერცხლის მდიდარი ნივთები, ხა-
 ტები, თვალმარგალიტნი,—დანეს. დაჰქაქეს, მოიპარეს,
 გაჰქურდეს! თვით მათი ერის წარმომადგენელი დურნოვო უარს
 არა ჰყოფს ამას და ამტკიცებს რომ ქურდობით 150,000 000
 მან. საღირალის სიმდიდრეს მოაკლეს რუსებმა საქართველოს
 სამღვდლოებო! *) ახლა მათგან წამხდარი და გაფუტებული
 რამდენი იქნება,—ვინ მოსთვლის! ჩვენი სკოლები დახურეს
 და თავიანთი გააღეს, და ნეტავ რა მოგვცა მათმა სკოლებმა
 ჩინოვნიკებსა და გარუსეულ „ხამებს“ გარდა, ჩვენდა საუბე-
 დუროდ! თუ ვისმე უფარგნია ჩვენში, არა რუსული სკოლის
 წყალობით, არამედ მის მიუხედავად. ჩვენში იანოვსკები,
 ლევიკები და ვოსტოგოვები მეფობდენ სკოლებში—მათი
 დეაწლი კი ცნობილია,—იქამდის მივიდნენ რომ პირუტყვებად
 გაგვხადეს, „მუნჯურად“ ავგალაპარაკეს, გარდა ამისა კინა-
 ლამ მეგრელები, სვანები და ლაზები არ ჩამოგვაცალეს,—ეს
 უძველესნი ქართველნი, ცნობილნი მრავალ საუკუნეთა გან-
 მავლობაში ქრისტეს წინეთ! ენა შეირყვნა, იგი დაივიწყა
 ინტელიგენციამ. ქართული ძველი მწერლობა ხელ-მისაწდო-
 მი გახდა მხოლოდ სპეციალისტათვის, ვინაიდან სკივთური
 მეტრუკობით შესწყვიტეს მეტრმაცა და მოყვარემაც ჩვენი
 ლიტერატურისა და ცოცხალი ენის კავშირი მე-XVIII და
 მე-XIX საუკუნეთა შორის,—ესლა კი საცოდავად ვამტკრვეთ
 ქართულსაცა და რუსულსაც;—ჩვენი ვინაობა დაგავიწყდა,
 უ ე ნ ო პ ი რ უ ტ ყ ვ ნ ი შ ე ვ ი ქ ე ნ ი თ ! ეს არის ჩვენი
 კულტურონობა!.. ან იქნებ ბ. ანს-დიდი მცოდნე ჰკონია
 თავისი თავი ქართულისა ან რუსულისა, ან ქართული მწერლო-
 ბისა და ისტორიისა და თავისი საზომითა ზომავს ყველა
 ქართველს?!..

რაც შეეხება ამ უკანასკნელი დროის განვითარებას,
 ბ. არჩილ ჯორჯაძის თქმისა არ იყოს—post hoc, ergo

*) ამბოხება კახეთისა, P. 7—8.
 **) Зиберь. Очерки первобытной экономической культуры.

*) Судьбы Грузинской Церкви.



propter hoc-ის ლოლიკას ხომ არ დავადგე?ით. რუსი რა შუაშია, თუ ცოტათი მაინც წაიწიეთ წინ ქართველებმა და ჩვენ ივე საკუთარი ცდით ცოტა, შედარებითი პროგრესი განვახორციელებთ. ან კი რა პროგრესია ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით განხორციელებული ეკონომიურად ჩვენ ძალა არა გვაქვს, და სხვა მხრით, აკი მოგახსენეთ, მაინცა და მაინც დიდი სახარბიელო პროგრესი არ გავგიხორციელებია ამ ერთ საუკუნეში. სულ სხვა იქნებოდა, რომ კულტურისნები არა გვყოლოდნენ ბატონ-პატრონათ. შეიძლება სულ მოვისპობოდით,—ესეც შესაძლებელია,—მაგრამ მაშინდელი მდგომარეობა სპარსეთისა და ოსმალეთისა, სადაც მიხვდნენ ირაკლის და გიორგის დამლუპველ პოლიტიკას, გვაფიქრებინებს რომ შეგვეძლო უტყველად თავისუფლად ამოგვესუნთქა და ეხლა ჩვენი კულტურა, ჩვენი „მოქალაქობრივობა“ იმედია, სხვა, ხარისხსა და სიმაღლის იქნებოდა, და არა სკვითური ფერისა და ხასიათისა, პირველად სპარსეთშია შენიშნა ჩვენ მეფეთა დამლუპველი პოლიტიკა, გამართა მოლაპარაკება ამის შესახებ, მაგრამ ამოდ. შემდეგ „ახალციხის ფაშის ელჩმა, იბრაჰიმ ბეგმა, სთხოვა მეფე გიორგი მეცამეტეს, იტირთე ხონთქრის სელიმის მფარველობა და აღგიოქვამ ახალციხისა და სრულიად სამცხის შეერთებას საქართველოს სამეფოსთანა, ვითარცა იყო ძველად. მეფემ იწყინა იბრაჰიმ ბეგის ნათქვამი და სრული უარი განაცხადა. ხოლო რომ უფრო გული მოეკლა ელჩისათვის, გაჭაზუნა რუსეთისათვის გზის გასაკეთებლად დარიადიდან შანშე ერისთავი, გლახა ბაბანასშვილი, და ქალაქის ნაცვალი მიკირტუმ სუგრუნაშვილი. მაშინ თურმე სიტყვა მარჯვე ჩერქეზმა და ახალციხის ფაშის მახლობელმა მოახსენა მეფეს: „ბატონო მეფე და კარის კაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთ თვისსა დროსა და ხვედრსა მისსა?—დახვე კარისა ამისა, უბრძანა მეფემან, იქნება დახვე ქრისტიანობისა კარისა; ამისათვის ჯვარი ქრისტიანი, რომელსაც ვესავეთ, იქნება თვით მკველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასხედ დახვეს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საქიროდ.“ *) რა ღრმა პოლიტიკური აზრია ჩერქეზის სიტყვებში, რომელთაც ეხლაც აქვს მნიშვნელობა საერთა-შორისო პოლიტიკაში,—რა სისულელეა გიორგი მეფის სიტყვები!—და განა საქართველოს სიყვარულით მოსდობათ ეს ოსმალებსა და სპარსებს, რომელნიც სთხოვდნენ ჩვენ მეფეებს, კავკასიის კარი არ გააღოთ, თორემ დავიღუპებით თქვენც და ჩვენცა! თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მიხვდნენ რაშია იყო საქმე შესაძლებელი იყო აგრეთვე რომ ეშველათ რამე კავკასიის კარის სამუდამოდ დახშობის საქმისათვის სპარსთ, ოსმალთ და ქართველთ, საერთო ძალით, და მაშინ ჩვენი თავისუფლება და წარმატება უზრუნველ ყოფილი იქნებოდა, კავკასიის კარის გაღების შიში ოსმალსა და სპარსს სიკეთის მეტს ჩვენთვის სხვას არა გააჩერებებდა, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა სულ სხვა იქნებოდა,—მაგრამ ჩვენებმა არ ინებეს, „კარი გააღეს“ და შემოუშვეს „მოქალაქებრივობა, წესიერება“ და „კულტურა“,—და აი შედეგიც,—გაოხრებული საქართველო, მის ცხედარს კი დაღმეპილი, მოცეკვარე

ბანი ანი, საცეცხლურით ხელში წყის უგებს და ლამის არის ციმბირში გადასვენოს,—ალბად იქ უფრო დიდი უკეთესობა და გაგონილა რომ თვით არაფრის მქონემ მოცეცხლურით ყვავს რა აქვს, კაქკაქს რა მისცეს,—ნათქვამია და კულტურას მოკლებული სკვითი ქართველს როგორ გააკულტუროსნებდა! გააკულტუროსნებს კულტურული ერი არა კულტუროსანს სხვა და სხვა გზითა: ან დაპყრობითა და თვით ხალხის შერევით, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა ხოლო მე ისტორიაში. ან მშვიდობიანი გავლენით, როდესაც მეზობლად სცხოვრებენ ორი თავისუფალი ერი. ან და კიდევ მთელი თავისი კულტურის სხვის სახელმწიფოში გადატანით ამა თუ იმ მიზეზის გამო, როგორც მაგალითად რომმა ისარგებლა ბერძნების მთელი კულტურითა. ჩვენში კი სკვითმა შემოიტანა მათრახი და ხიშტი, ღერბის მარკა და ჯვარ-მენდალ-აველატი,—გავიბატონა ჩინოვნიკი, მუნჯური მეთოდი, მოგვისია ხულიგანი და „წმინდა წყლის რუსი“,—და ეს არის უმაღლესი კულტურის შემოტანა! კაპიტალს რაც შეეხება და მის მიერ გამოწვეულს კულტურულ დაწესებულებებს,—აქ რუსის კაპიტალი არც კი ტრიალებს, და თუ მაინცა და მაინც რკინის გზით გაგვაკვირვებთ,—ჯერ ერთი რკინის გზის გაკეთება თავის თავად არას მოასწავებს დიდ კულტურულს დაჩაგრული ერისათვის, მერე—იგი რა ვიცით რომ უფრო განვითარებული არ იქნებოდა სხვა შემთხვევაში, უსკვითოდ,—და შემდეგ, ეს რკინის გზაც, ინგლისელისა და არა რუსის კულტურის ნაყოფი, თავიანთ სასარგებლოდ, განსაკუთრებით თავიანთ სამხედრო ბატონობისათვისა და ჩვენ საქსპლოტაციოდ გაიყვანეს რუსებმა (ისიც მგონი პირველად რუსებმა კი არა, ინგლისელებმა დაიწყეს რკინი გზის შენება ფოთიდან), და არა ჩვენი გაკულტუროსნებისა და გამდიდრების მიზნითა. ეხლა კი ეზოლოდ მისი მოსურნენი ვართ, რომ დავანებთ თავი და დაიკარგენით აქედან თქვენი კულტურითა და წესიერებით, იგი ჩვენ ვიგემთ ძლიერ კარგად; მათრახისა და მუნჯოლისა, მიწის დაკარგვისა და გაუპატიურების მეტი არა გვახსოვს რა ამ კულტურისაგანან, და თუ რამე კარგი გვქონდათ, ჩვენ თვითონ ვისარგებლებდით, ჩვენთვის რომ თავი დავგუნებდით ამ ძალად კულტუროსნებსა; ეხლაც თუ რაიმე ხელსაყრელს ვნახავთ ამ კულტურაში,—თვითონ ამოვარჩევთ და ვისარგებლებთ დიდის სიამოვნებით, ოღონდ კი თავი დავანებთ და მოვრჩეთ თქვენს ეხლანდელ, აქ დამკვიდრებულ „კულტურას!“

ეს არის ჩვენი გულწრფელი წადილი და სურვილი, ერთად ერთი გონიერი და დიადი წადილი. რომლის აღსრულებაც ჩვენ ისევ მოგვანიჭებს სიცოცხლეს ერთი საუკუნის სიკვდილისა და უკუღმა დამარხვის შემდეგ.

მაგრამ კარგი, ვსთქვათ რამ ჩვენი გამაბიარებელნი მართალნი არიან,—ჩვენ არც კულტურა გვქონია, არც მწერლობა, არც ისტორია, არც კი ვყოფილვართ ერი,—ვსთქვათ ხალხს მართლაც არ უნდა წნაიციონალიზში, არ უნდა თავი ვისი პოლიტიკა!—მერე რა?—განა ამ ხალხის საუკეთესო შვილნი იმას არ უნდა სცდილობდნენ, რომ ჩვენც ვავხდეთ ყოველივე ამის შემქმნელნი და ღირსნი, რომ ქართველებიც გახდნენ. ერთად სხვა ერთა შორის“, რომ თვით სოციალიზმსაც რაიმე განსაკუთრებული ელფერი მივსცეთ, როგორც განსაკუთრებულმა ერმა, რომ მომავალ საერთაშორისო კავშირში შევიდეთ დამოუკიდებლად, სხვა ერებთან თანაწილად, სრული სიცოცხლითა,—და სწორედ ჩვენი განსაკუთრებითი, ინდივიდუალურ-ეროვნული სიცოცხლით შევიდეთ

*) პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფის გიორგის მეცამეტისა, გვ. 143.—მოყვანილი ა. ფრონელის მიერ, „მთიულეთი“, p. 10.


ამ დიადს კავშირში და მითი დაუდვით საფუძველი ჩვენს მომავალს, ხანგრძლივს ცხოვრებას? განა ვისთვის არის საჭირო და საბედნიერო სოციალიზმი და ერთა-შორის კავშირი?— ისევ ამ ერთთვის, მათ საკეთილდღეოდ არა?—და თუ თვით ერნი არ ვარვანან,—მაშ როგორი უნდა იყოს მათგან შედგენილი კავშირი?—თუ ამ ჯურის სოციალისტებს, რომელ-ზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, საერთაშორისო კავშირი ესმისთ, როგორც ერთფეროვანი მასა კაცობრიობისა, ერთი ცენტრალური მთავრობის ქვეშე, და ამ იდეალის მისაღწევად ისინი არას დაგიდევენ, თუმც კიდევ მოჰკვდენ ცალკე ერები?! მაგრამ ამ შემთხვევაში კეთილ-ინებონ და უარ-ჰყუნ გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, თვით რუსეთის მთლიანობაზედაც მოსკონ ყვირილი,—რაღა მარტო ჩვენ და სხვა ჩაგრულ ერთ ჩასცივებთან! ან იქნებ ჩვენ სიპატარავით გვიწუნებენ?—მაგრამ სიბევრესა და რიცხვს რა ჰკუთა აქვს. ერთი გონიერი ადამიანი სჯობია მილიონ ღორსა!.. ბერძენები პატარა ერს წარმოადგენდნენ, მარა აბა ერთი წაუყენეთ მათ მრავალ-მილიონიანი ხალხნი, ან ძველნი და ან ახალნი,—რომელნი სჯობიან მათ ან კულტურით, ან ისტორიით, ან სხვა ღირსებითა!—ჩვენ „სოციალისტებს“ კი არა თუ ასეთი არგუმენტები მიაჩნიათ რაციონალურად, არაჲდ ისიც, რომ რუსეთი, მაგალითად, უკვე არსებული სახელმწიფოა, ისტორიულად შემდგარი, და მაშასადამე მისი დაშლა რაღაც ავტონომიებათ საშინელი დიდი ცოდვა იქნებაო! პირველად ამას სოციალიზმის სახელით ამბობდნენ, ახლა ისტორიული ფაქტიც კი მოჰყავსთ არგუმენტად და ამითი გვჩიან პირში ბურთს! მაშ გამართლეთ, რაღა, ივან კალიტიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე რუსეთის „შეკრება“, გამართლეთ დაპყრობა, ეროვნებათა გაგლეჯა, პოლონეთის სამჯერ დაყოფა, მურავიოვის თოკი და სხვა ასეთები? სხვა გზა არა გაქვსთ! ყოველივე ეს ისტორიული ფაქტია, და ამ ფაქტს ან ნამდვილი ანგარიში უნდა გაუწიოთ, ე. ი. გამართლოთ იგი და ამით აღიაროთ რუსეთის სახელმწიფოს არსებობის ისტორიული ფაქტი.—ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი თ, —უ ნ და ა დ ი ა რ ი თ რ უ ს ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი,—ან და უნდა უარ-ჰყოთ ამ ისტორიული ფაქტის სამართლიანობა და სარგებლობა ერთთვის და კაცობრიობისათვის,—უ ნ და დ ა ჰ გ მ ო თ რ უ ს ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი,—და მაშინ ჩვენ ლანძღვა-გინებაშიაც ნულა გაიხვებით, მაშინ ცოტა ჩვენ ეროვნების დაცვისათვისაც ამდერეთ თქვენი მადლიანი კალამი და სიტყვა. ორში ერთი გზა გაქვსთ,—ერთ-ერთს ვერ ასცდებით ვერავითარი იკლიკანტობით, და დღეს კი, მიუხედავად თქვენი კრიმანჭული არგუმენტებისა,—თვალსაჩინოა ყველასათვის რომ პირველ გზაზედ—რუსის ნაციონალიზმის გზაზედა სდგებართ! შემდეგ კი მომავალი გვიჩვენებს. რა იქნება...

ალაროდელი.

პ მ ტ მ რ ბ უ რ ზ ი

ზაფხულში სულ დღე, ზამთარში—ღამე, გარეთ სიცივე, სახლში უგარი!..
ველარც შინ რჩები, ვერც სად მიდიხარ!..
ქუჩებში თოვლი, ბუქი და ქარი!..
ღვინო არ მოდის, წყალს სვამ ნადულარს,
ხორცი და პური გაყინულია,

მაგრამ ესეც რომ მამასისხლოდ ღორს?..
სიცოცხლე, სწორედ მოწამლულია!
სხვა უკეთესი მხარე ვერ ნახეს,
ამდენი ხალხი რომ აქ შეყრილა?
რას დაეძებენ? რას აკეთებენ?
სჩანს, „გასცვეთია სუყველას ლილა“.
როგორც ქინჯველები დაფუსფუსებენ;
სუყველა ტკბილად მოუბარია,
მაგრამ მართალი ერთიც არ არის,
ერთი მეორის მატყუარია!
მიხვალ ბირჟაზე ხრიალი გააქვთ.
ა ეს აქცია! ა ის აქცია!..
თუ გაგაბრიყვეს და გაყიდვის
მაშინ იქნება, აბა, „აქცია“.
თუ რამ საქმე გაქვს სამჯავროებში
და კანონიერ სამართალს ელი,
ტყვილად მოსცდები! ვერ რას გახდები,
თუ თან არ მიგყვა პორტმონე სქელი.
და მინისტრებიც, ეს ხალხის მტრებიც,
წერილ ჩინოვნიკებს ეყარებიან!—
ჰსურს გარეგნობით გაგაყუყურონ,
ინდაურივით იბერებიან!..
წახვალ „დუმაში“, მაგრამ რას ხედავ!
მართლა რომ დუმა — საკურვლეთია!..
უსამართლობას აქაც სიმართლე
დაუგლეჯია... დაუფლეთია!!
ერთი სხვას ამბობს, მეორე სულ სხვას;
აქ ბაბილონის გოდოლს აგებენ!..
ძირს!..—ძირს ჰკვიანო!.. ტყულა ნუ სცდები
პირუშვევიჩებს მხოლოდ აქებენ!—
გულ დაწყვეტილი, გულ-გახეთქილი
გამობრუნდები, არ იცი რა ქმნა?
და მიაშურებ საითმე თეატრს,
ჰფიქრობ, იქ არის ერთად ერთი ხსნა,
ღროს გაატარებ, აქ დაგხვდება
გოტე, შილერი, ანუ შექსპირი,
მაგრამ გამოდის ვიღაც ახმახი...
ისე ღრიალებს, როგორც რომ ვირი
როგორც ეტყობათ, აქ ხელოვნებაც
სხვა გვარად ესმისთ... თავისებურად!..
რა ენადვლებათ, ფულეებს იღებენ
და მოთამაში სცხოვრობს მეფურად.
რომ აღარ იცი, სადღა წახვიდე!..
გინდა თუ არა, ჩადგები ვალში,
და ფაცა-ფუციოთ, ფეხის აყოლით,
შენც მიაშურებ სადითმე ბალში.
დაგხვდება ბალი გაჩაღებული
ხალხი მრავალი... უთვალავადა



კაცი ქალისთვის, ქალი კაცისთვის
სასუნტრუკოდ და სანახავადა.

კაცებს ფრაკიანს, ქალებს ხრაკიანს
ჰხედავ, არ მოგწონს მათში არც ერთი;
თითქოს მიდიან აბანოშია,
მოუტვლებიათ ქალებს გულ-მკერდი.

დეკოლტე მათი იქ გათავდება,
სადაც იწყება მეორე ზურგი.
ოხრად აყრიათ ბრილიანტები,
მაგრამ რად გინდათ? სუყველა ურგი!..

ცხვირით ცას ჰყნოსვენ, თვალები ჩიჩხი,
თმა ნასესხები, უწარბ-წამწამო!..
რომ რამე უთხრათ, არ დავაცლიან,
მოგაძახებენ: „წამო, და, წამო“!

აი დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა
მათი ალერსი რაღაც ქაჯური
და მათთან ერთად სუყოლიფერი,
რაც კი მინახავს მე აქაური.

ბუნებით მდიდარს, ცხოვრებით ღარიბს,
სხვა მხარე ვერ სჯობს ჩვენ საქართველოს
და მიტომაც ვსვამ მე წრფელის გულით
საშვილიშვილო მის სადღეგრძელოს.

იცი რასაც სვამ, იცი რასაც სკამ,
ბუნებრივია იქ ყოლიფერი
ცოტას სჯერდები, კმაყოფილი ხარ
და არაოდეს არ ხარ მშვიერი.

წყალი წყაროსი, ნუნუა ტკბილი,
კარგი ლობიო და ცხელი მქაღი;
ბეჭი საწებლით, ჩახობხილები,
ზუთხი, კალმახი და სუკის მწვადი.

იქ თვითეული ამათაგანი,
კუქისთვის მარგი, გემრიელია.
იყოს წყეული!.. რათ გინდა ფული?
თუ ეს ყველა არ შემოგვლია!

ნახავ ქართველ ქალს, ვერ აშორებ თვალს
ოპ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია!..
იმის ერთ კოცნას შესწირავ სრულად,
შენი რომ იყოს მთელი აზია!..

არც დეკოლტები, არც ბრილიანტი
და არც მაცდური რამ ხელოვნება
ყოველთვის, ყველგან, ყოველ ადგილზე
მარტივობაა მხოლოდ ბუნება,

იქ ქალი ქალს ჰგავს და კაცი -- კაცსა
აქ კი ორივე არეულია
და საზომათაც გრძობა-გონების
მხოლოდ ფულია!.. ყველგან ფულია!..

და რაღა ვაქო ამ ცივ ქვეყანას,
რომ ვერ ვნახე რა მე აქ საქები?

ვირი ყოველთვის ვირად დარჩება
გინდ გაუკეთო მას ირმის რქები.

შთაბეჭდილებანი

V

ქართლ კახეთის თავდასხნაურობის რუსული სხდომები.

ყოველს მუხლს ქრისტეს მოძღვრებისას შეიძლება შეურიგდეს კაცი, მაგრამ არის ერთი მუხლი, რომელიც თავისთავადაც ვერ არის მარჯალი, ხოლო დროზე და უდროვით ხმარებით საზიზღარი და შეწარავი გამხდარა.

მე მოგახსენებთ იმ მუხლზე, რომელიც გამოთქმულია შემდეგ სიტყვებში: შეუნდე უფალო, რათა არ იციან რას იქმონან.

რამოდენიმე წლის წინად გაზეთში წავიკითხე მოკლე ანგარიში სასამართლოს ერთი სხდომისა. ანგარიშში დაახლოვებით შემდეგი იყო მოყვანილი:

თავჯდომარე: რა გქვიანთ?

ბრალდებული: ვანკა.

თავმჯდ. რომელი გუბერნიიდანა ხართ?

ბრალდ. (იღრიჭება და არაფერს ამბობს).

თავმჯდ. სცნობთ თქვენ თავს დამნაშავეთ, რომ მოჰკალით პროსკოვია კოროცევი?

ბრალდ. (ამოიხვნეშავს). არა.. მე არ მომიკლავს... თვითონ მოკვდა... მე მხოლოდ ვეხუმრებოდი.

თავმჯდ. ეხუმრებოდით? თქვენ დაჰკარით თავში პროსკოვიას ეს დიდი კეტი (უჩვენებს).

ბრალდ. დიახ! მე დამიბარა... მივედი და ეძინა. . მინდოდა გამეღვიძებინა.

თავმჯდ. და თქვენ ამას ხუმრობას უწოდებთ?

.....

დამცველმა გრძელი სიტყვა ასე დაათავა: „აქ არ ყოფილა სურვილი მოკვლისა; აქ იყო სურვილი საყვარელი არსების გაღვიძებისა. რა იცოდა ბრალდებულმა, თუ მისთვის მსუბუქი ჯოხი სრულიად მიიძინებდა გაღმერთებულ პროსკოვიას. მე იმედი მაქვს, ბატონო მოსამართლენო, რომ არ დაივიწყებთ დიდებულს სიტყვებს: შეუნდე, უფალო, რათა არ იციან რას იქმონან!

სხვისი არ ვიცი და მე პირადათ, თუ შენდო ბაზე მიდგა საქმე, ვარჩევ იმას შეუნდო, ვინც განზრახ ჩაიდენს რაიმე ბოროტებას, ვიდრე მას, ვინც არ იცის ისეთი მოქმედების შედეგი, რომელიც ყველასთვის აშკარაა. რა შესადარია, ბატონებო, მართლაც ბოროტ გამზრახველი, მაგალითად ვანკასთან? პირველს შეგიძლია როგორმე დაუმტკიცო

სიკეთე და სიყალბე მოქმედებათა და ამნაირათ ავი-
ცდინო არა სასურველი მოვლენა. ზემო მოყვანილ
ფანკასთან კი თქვენმა მტერმა დაიჭირა საქმე; დათ-
ვივით ბუზის შუბლიდან მოსაშორებლათ ლოდს და-
გარტყამს, პურის ქამის დროს თეფშში ჩაგიფურთ-
ხებთ და, როცა მოთმინებიდან გამოსული მიაჯო-
ჯობნებთ, ის უბრყვილოთ გიპასუხებთ: თქვენ არ
ბრძანეთ იატაკზე და ფურთხება უზრდელობააო!...

მე არ ვეკუთვნი თავად-აზნაურობის წინააღმდეგთ:
მე მესმის, თუ რამდენს ღვაწლსა სდებს იგი გიმნა-
ზიასა თეატრის შენახვით, სწავლის გავრცელებით,
წიგნების ბეჭდვით, თუ გლენებისთვის მიწის შეს-
ყიდვით საერო საქმეს; მაგრამ რა ფასი აქვს ზემო
მოყვანილს, თუ ყოველი სხდომა, ყოველი შეხვედ-
რა, კეთილი საქმე საუკეთესო პროპაგანდაა რუსუ-
ლი ენის გადუვალობის; მთავრობის თვალში კი
ასეთის მოქმედებით ამტკიცებენ, რომ უქართულო-
დაც შეუძლია საზოგადოების საქმეთა მოწყობა;
მთავრობა რწმუნდება, რომ თვით ქართველ თავად-
აზნაურობას, ქართული საქმის მოჭირნახულეს,
ქართულად ლაპარაკი აღარ ეხერხება და არც
უნდა!.. მაშასადამე არც საჭიროაო!

ნ. ლორთქიფანიძე.

რამანსი

ძილში ვშფოთავდრი; ვკნესოდრი, ვთრთოდრი
და უნუგეშოთ მწარედ ვსტიროდრი...

ჩემს სიბეჩავეს, სულის ობლობას,
უბედობასა, უთვისტომობას
შემოგჩიოდრი!

ჩემო კეთილო! გებრალეზოდრი,
მიალერსებდი, თავს მეველებოდრი,
ჩემს გულის ცემას გულითვე გრძნობდრი
და თვალებს, ცრემლით აღსავსე თვალებს,
კოცნით მიშრობდი!..

ახ, რა ნეტარი წუთი დგებოდა! .
სევდა ჰქრებოდა, ტანჯვა დნებოდა.
მთელი ქვეყანა შენს ღვთიურ მკერდზე—
მყინვარის თოვლზედ თეთრ-მშვენიერზე—
მაიწყდებოდა!...

გალვიძების დროს რა მომელოდა?!
ირგვლივ ციოდა, ირგვლივ ბნელოდა!
ჩემთან არ იყავ!.. მე ისევ ვთრთოდრი,
ვიტანჯებოდრი და ისევ... ისევ
მწარედ ვსტიროდრი!..

კ. მაყაშვილი.

ემასლაათა დღეს ხალხს მგოსანნი
(აკაკის ლექციის გამოსახულება)

სულით ძლიერი, გრძნობით დიადი,
გაბრწყინებული, მზებრ სხივოსანი! —
მეტყველის ენით, ფხიზელ გონებით,
ემასლაათა დღეს ხალხს მგოსანი!

ქართველი ხალხის უებრო მცველსა
„დღეს კვლავ გაეხსნა ყველასთვის გული“,
ხალხს შთაავგონა და უქადაგა:
«ძმობა, ერთობა და სიყვარული».

ხალხის წინაშე, მარად უყვდავი
სიმნი ჩანგისა კვლავ ააქრეოლსა;
რუსთველისაებრ მან აღიარა
ს-მარლისათვის მდგარი ბრძოლა!
რა მშვენიერი იყო მგოსანი,
რა წრფელი იყო მისი სიტყვები...
დიდი-პატარა აღაფრთოვანა,
ყველას მოფინა თვისი სხივები!..

ლადო გეგეჭკორი.

მთავრის ასული ცრემლი.

ზღაპარი.

(პოლონურიდან).

იყო და არა იყო რა, იყო მთავრის ასული და
ერქვა მას ცრემლი.

მასა ჰქონდა სპეტაკი, ბროლივით წმინდა სუ-
ლი, რომელსაც სიამოვნებით და ალერსით დაჰყუ-
რებდნენ მზის სხივები და ცის სარტყელის მსგავს
ფეროვან გვირგვინს უწნავდნენ.

მისი სული წყნარი და ნაღვლიანი იყო, ვითა
ოცნებით გამჟვალული სუნთქვა გაზაფხულის და-
მისა, რომელიც ჰფარავს უდიდეს სევდას და სიყვა-
რულს რადაცა შორეულისა და გამოურკვეველისა
დმი... მისი სული აღსავსე იყო ფარულის და გა-
მოუთქველის დარდით.

წყნარი და მარტო ხელი იყო მთავრის ასული
ცრემლი.

და თუმცა იგი მეფის ასული იყო—არა ჩვე-
ვია ამაყობა და ამპარტავნობა, არ ეთაკილებოდა
ღარიბნი და ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი.

პირიქით, მათთან ერთად ატარებდა ხანგრძლივ
ღამეებს, განუწყვეტელ, ტანჯვებით აღსავსეთ.

მათთან ერთად ვიდოდა იგი განმარტოებულ
უდაბურ, გრძელ და დაუსრულებელ გზით.

და მხოლოდ გათენებისას ანებებდა თავს და
უტოვებდა მათ ოქროს ფერ, მოღაღღადე ამომი-
ვალ მზეს.

ეროვნული
საბჭოების
გაერთიანება

წყნარი და მწუხარე იყო მთავრის ასული ცრემლი.

და იყო და არა იყო რა, იყო ბატონიშვილი სიცილი.

იგი შობეს ყვავილთა დამათრობელმა სურნელოვანებამ და მშვენიერმა ზაფხულის დილამ.

იგი აღზარდა მ-კაშკაშე ბრწყინვალე მზემ, რომელიც არასოდეს ღრუბლებს არ ამოფარებია.

ნანას დაჰგალობდნენ საამურის ხმით, მოჰქიპქიპე მომღერალი ფრინველები.

ახალგაზრდა და მშვენიერი იყო ბატონიშვილი სიცილი.

მასა ჰქონდა პეპელის ქრელი ფრთები. თვლები სიხარულით და ბედნიერებით უბრწყინავდა.

იგი საამურის სიმღერებით, ყვავილიდგან ყვავილზედ დახტოდა, და სტკბებოდა მათის მომჯადოებელის სურნელოვანებით.

მისი გული ძლიერად და მხიარულად სძგერდა. მასა ჰქონდა ალისფერი, მოცინარი ტუჩები.

სამაგიეროდ არა ჰქონდა სული.

ახალგაზრდა, მშვენიერი იყო ბატონიშვილი სიცილი, მაგრამ არა ჰქონდა სული.

და შეიყვარა ბატონიშვილმა სიცილმა მთავრის ასული ცრემლი.

შეიყვარა იმიტომ, რომ იგი იყო წყნარი და მწუხარე.

შეიყვარა იმიტომ, რომ სულით ობოლი იყო. შეიყვარა იმიტომ, რომ ცრემლსა ჰქონდა სული.

ბატონიშვილი სიცილი ჰხედავდა, როგორ საუბროვოდ ბჭყვრიალებდა ცის სარტყელას მოციმციმე სხივებში მთავრის ასული სიცილი.

ხედავდა, როგორ შორს, რა უსამზღვრო სიშორეს მიდიოდა მთვარიან ღამეებში.

და მოისურვა დაჰატრონებოდა მთავრის ასულს ცრემლს და მისს სულსაც.

ბატონიშვილმა სიცილმა უთხრა მთავრის ასულს ცრემლს:

— მამეცი შენი სული— მე ვგ არა მაქვს და მაგისათვის ვნადვლობ.

მიუახლოვდა მთავრის ასული ცრემლი:

— აჰა, წაიდე... იუფდე.

ბატონიშვილმა სიცილმა დახედა და დააკტერდა ცრემლის სულს და დაინახა იმაში აუარებელი ტანჯვა, გამოუთქმელი მწუხარება, ისეთი უსამზღვრო სულის ობლობა და მარტოობა:

— აჰა, გაძლეე ჩემს სულს...

და ბატონიშვილი სიცილი, თავისი ალისფერი ტუჩებით შეეხო მთავრის ასულს ცრემლის სპეტაკ სულს.

და უღონოდ ძირს დაემგნენ ლასებური ქრელი ფრთები.

ჰკოცნიდა... ჰკოცნიდა... ჰკოცნიდა...

და ვით ორთქლი სურნელოვანებისა ზე აღვიდა და ყვავილებზედ განიბნია სულ მადლა... მადლა...

ა—ს—ი.

ჩემი ვარაზი

ზამთარი რომ მიიწურა, გაზაფხულის მეცა სუნია. გამიხარდა, ავცახცახდი, რომ მომშორდა დასაწუნი.

მაგრამ დიდხანს სიხარული არ გაგრძელდა... შემეცვალა. დავმტკბარ ვიყავ ცოტა ხნობით, ისიც არვინ დამაცალა.

მტერს გაუძლეე, გავმაგრდე, მაგრამ ძმისა მეშინია.

ძმა ფლიდი და მოლალატე მტერზე უფრო საშიშია.

კორტოხა.

პ ი ტ ნ ა

ახუ ჯიუტობა და ეროვნული კითხვა.


„ესდევთაგან“ ეროვნული კითხვა, ძნელად გასაგონი. ძლივს იწამა ერთმა ჯგუფმა ბ გვალისონ ეხლა მგონი. რაც ამდენ ხანს გვატოვებდეს, ნუ იქნება მოსაგონი, თუ კი ეხლა გონს მოიყვანს დემაგოგებს ბატონ ონი. „ცენტრალიზმის“ უარ ყოფა დიახ არის მოსაწონი: კოსმოპოლიტურ ოცნებას სჯობნის ძველი ტიბიკონი დღეს პირველად ცხვირში პიტნას ანს აყნოსებს ესდევ ონი.

ახალ მცნებას გვიღალადებს „ჩვენი კვალი“ - „ალიონი“ დღემდე სხვებმაც ბევრი სწერეს, მაგრამ ვინ იყო გამგონი

ნუთუ ეხლაც ჯიუტ ანსა ვერ გასტეხავს მის ამფსონი? ეგრე არის ცხოვრებაში — ყველგან არის თითო ფონი, სიკერპეს და სისულელეს კურნავთ ხშირად მხოლოდ დრონი..

გერი.





ეროვნული
ბიბლიოთეკა



წმ. ნინო.

ორგინალი ნახატი დეკადენტურ ყაიდაზე—
ი. ნიკოლაძისა.

ან-ს

ჰოი გეროსტრატ! დიღო გეროსტრატ!
ეწიე სურვილს, ეწიე მიზანს.
ჩვენშიც გამოჩნდა შენი ბადალი,
იგიც თამამად მიჰყვება შენს გზას.
მასაც, როგორც შენ, არ დაივიწყებს
მემატიანე, მის ისტორია,
იტყვის: გეროსტრატ ერთი კი არა
მთელს ქვეყანაზე ორათ ორია;
ერთი ბერძენი, ერთი ქართველი
ორივე ერთ გვარი, ცალის ცალია,
იმისი ტოლი, მისი ბადალი
საქართველოში ერთი ან-ია!
ჰოი გეროსტრატ, დიღო გეროსტრატ,
შენ საუკუნე ვერას დაგაკლებს,
შენი ხსენება საქართველოში
აკენის ბაღლსაც კი ააკანკალებს!...
მემატიანე.



ფრანსუა კოპვე.

(გამოჩენილი პოეტი-ლირიკოსი საფრანგეთისა, აკადემიკოსი
66 წლისა გარდაიცვალა ამ წლის 10 მაისს.)


ჩამომეხსენი!..

კმარა რაცა ვსვი სიმწრის ფიალა;
კმარა, მაცდურო, ტანჯვა ამდენი;
მეყო მონურად თვალ წარბში ცქერა—
გემუდარები — ჩამომეხსენი!..

შენი აღერსი, ტკბილი სიტყვები
ჩემთვის იქმნება სევდის მომფენი,
წრფელად ერთმანეთს ვერ შევიყვარებთ—
გემუდარები ჩამომეხსენი!...

მეყო რაც მჩაგრე, დამაძაბუნე
და ჩამიმწარე ჭაბუკსა ღდენი;..
აწ შენც იკმარე.. მეც მამყოფინე...
გემუდარები — ჩამომეხსენი!...

ი. გრიშა—ლი.



აკაკის მოსწრებული სიტყვები

აკაკის ერთმა ქალმა მიუძღვნა მშვენივრად
მოქარგული, შესაფერის ზედ წარწერით, ბალიში.
ამ საჩუქარმა მგოსანი ძალიან ასიამოვნა და ღი-
მილით სთქვა:

— ჰეი, ჰეი, ფიქირ-ბეიო! სანამ ახალგაზდა
ვიყავი, „ბუდილინიკებს“ მიგზავნიდნენ და ახლა კი
ბალიშებს მიგზავნიან—დაწექ და დაიძინეო!...

საქართველოს მტარვალები

ზნეობრივი ჭაობის მწერლობა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზაფხულო ნობათად ეძღვნის „პოვეტ-პუბლიცისტებს“: Sperauza ს, ეშმაკს, ოლრასინ-ანასინს, ყარობს და სხვათა მათთანათა.

ალა-მამედ-ხანი — შაჰი სპარსეთისა.

(იკვლილიდან ასი წლის გამო. მოკლულ იქნა ქალ. შუშა-ში 4 ივნისს 1798 წ.).

სოციალური და მეცნიერება

მ ლ ე ძ ი

ჭლექის მეცნიერთა კონგრესზე ვენაში.

გასულ წლის ბოლოში ვენაში მოხდა მეცნიერთა კონგრესი, რომელზედაც მსოფლიო ჭლექის შესახებ ჭქან-დათ სჯა-ბასი.

კანსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული იმაზე, თუ რა გზით და საშუალებით იწამლება ადამიანის სხეული ჭლექის ბაცილებით.

გერმანელი მეცნიერნი და მათ შორის Feueqde იმ აზრისა იყვნენ, რომ ჭლექის შესებით ადამიანი ბაცილებით მოშსამული ჭქარის შესუნთქვით იწამლება.

ასეთ აზრს წინ აღუდგა განთქმული მეცნიერი ფრანგი Culmette-ი, *) რომელიც ამტკიცებდა კონგრესსზე, რომ ადამიანი ყოველთვის ჭლექით ავადმყოფს საქან-ლის რძით და ხორციით იწამლება და არა მოწამლული ჭქარით.

ამ გვარმა უთანხმოებამ ასეთ ფრანგ საგულისხმოდ კითხვაში, როგორც ჭლექის გადაება მრავალ მეცნიერთა ყურადღება მიიქცია და მოკლე ხანში მთელი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა ამ კითხვის შესახებ.

მეცნიერი Culmette-ის გამოკვლევიდან სჩანს, რომ რამდენად უფრო ძნელია ადამიანის ჭლექის ბაცილებით მოშსამული ჭქარით მოწამლება, იმდენათვე უფრო ადვი-

გაზაფხული

(ილიასებური)

დაგვიდგა გაზაფხული,
სულ ამწვანდა მთა ველი;
მაგრამ ხალხსა ჩაგრულსა
არ შორდება ნაღველი!


მოილია ზამთარი,
ახმაურდა ყოველი;
დიდ ილიას დაკარგვას
სტირის ერი ქართველი!..

გაიშლება, დაქანდება,
ასეა ყველაფერი,
მაგრამ დღესაც სამშობლო
არ არის ბედნიერი!..

მხოლოდ მაშინ მოესწვრის
ეს ქვეყანა შვებასა,
როცა ხალხი აღადგენს
თავის წმინდა ნებასა.

კ. შა.

*) L'Hygiène et l'enfant 1907 décembre.



ოთხი წლის სამსახური*)

(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან) **მედიკალი**
გიგლოტიშვილი

დაა სხეულის ბაცილებით მოწმამა კლექიან საქონლის რძით და ხორცითა. ამის საცდელად Sulmette-ი ასუნთქებიანდა ზოგიერთ ცხოველს (ისეთს, რომელიც ადამიანის მზგავსათ კლექით ხდება ავთ) კლექის ბაცილებით მოწამლულს მტვრის ქაერს და ბოლოს მრავალჯერ განმეორებულ ცდის შემდეგ ეს შეცნიერი დაწმუნდა, რომ ამ გვარად საცდელი ცხოველი თითქმის არასოდეს არ მოწამლულა ასეთი ქაერთ.

ხოლო იმ შემთხვევაში კი, როდესაც ცხოველს ბაცილებით მოწამლულ სითხეს აელაპება, ცხოველი რამდენიმე ხნის შემდეგ კლექით შეიქმნება ავთ, რასაც მისი გვამის გაჭრა ადასტურებს.

ხოლო რაც შეეხება სხვათა შეცნიერთა გამოკვლევებს ამავე კითხვის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თუმცა სახსებით Sulmette-სობა ეთანხმების, მაგრამ უტყუარად აღნიშნავენ ერთხმად იმ ფრთად დიდმნიშვნელოვან გარემოებას, რომ მოწამლული საქონლის რძით და ხორციით ადამიანი მართლაც რომ უფრო სიძლიად იწამლება კლექით, ვიდრე აქამდე გვეტყობა.

შეათხველმა იცის, რომ ადამიანის გარდა კლექით ხდება ავთ ზოგიერთი შინაური ხირუტევიც და მათ შორის კი უფრო ხშირად ძროხა. როგორც შეცნიერებამ უკვე დამტკიცა ადამიანის და საქონლის კლექი ერთი და იგივეა, ერთგვარი ბაცილებითაა გამოწვეული; როგორც შესაძლოა, რომ ადამიანი ხირუტევისაგან მოწამლის კლექით, ისე შესაძლოა, რომ ადამიანს კლექი ხირუტევისაგან გადაეღოს.

მოწამლულ რძეს და ხორცს კლექიან საქონლისასთან ჩაქვს კლექის ბაცილებიც, რომლებსაც შეუძლიანთ ისე გააღწიონ ადამიანის წებების ღორწიან გარს, რომ მასზე არავითარი ცვლილება არ დასტავონ, შეჯიან სისხლში, რომელსაც თან მიაქვს ბაცილები ძარღვებში და აქედან კი უფროს ერთ შემთხვევაში იწამლება ფილტვებში წვრილად დაფოფილი სისხლის მილები — კანილიაკები; მილებიდან კი კლექიან ბაცილები სწამლავენ თვით ფილტვებსაც. ამ გვარად ადამიანს უჩნდება კლექი.

კლექის ბაცილებით მოწამლულა რძის სსულებით ფრთად ხშირად ბავშვთა შორის. ბავშვის წებების ნაზ და ქორფა ღორწიან გარს უფრო ადვილათ გაატანს რძესთან ერთად ჩაუღლილი კლექიან ბაცილები.

მართლაც როგორც სტატისტიკა გვიმოწმებს იმ ბავშვთა შორის, რომლებიც დედის ძუძუს მოკლებულნი ძროხის რძით იზრდებიან კლექით გარდაცვალებულთა რიცხვი კასტრად დიდია უოველ წელი.

მასწავლამე საჭირო უფთავს არა მარტო კლექიან ადამიანის მოცილება, არამედ კლექიან საქონლის ხორცისა და რძისაც. სამეტურ ძლიერ უნდა გავუფთხილდეთ ამ მხრივ ბავშვების ნაზ სხეულს, და ვფიქრობდეთ, რომ მოწამლული რძე არ შეხვდეს მას.

ეს გამოძიებლები აღემატებოდნენ ამხანაგებს ყოველის მხრით. მეტე აღარ შევხვედრილვარ იმათებურ ტიპს. შევეუფრეთ ახლა ჩვეულებრივი ტიპების აღწერას.

ერთ მიყრუებულ სოფელში მსახურობდა ერთი ნამდვილი გამოძიებელი. გვარ-ტომობით დიდ-რუსეთელი იყო, ზორბა, ვეებერთელა, მოყვანილი ვაჟკაცი. ძლიერ კვაყოფილი იყო თავის ბედით. მოსწონდა გამოძიებლის თანამდებობა და ცდილობდა დაწინაურებას, მეტადრე პროკურორობა ენატრებოდა. სულ იმის ფიქრში იყო, სად აღმოვაჩინო დანაშაულიო. სულ სჩხრეკავდა, იძიებდა ყოველი კაცი დანაშავე ეგონა, უბრალო და ჩინოვნიკი. „მე იმას ვაჩვენებ სეირს, ჩამივარდება ხელში“, — გაიძახოდა ხშირად მეტადრე მაზრის უფროსზე ილესავდა კბილებს. ძლიერ აფასებდა „ჩინებს“. „პირველად ვლიბერალობდიო“, — ამბობდა, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ „ჩინები“ საჭირო ყოფილიყო. როგორც ჩრდილოეთის შვილი, პატივსა სცემდა ალკოჰოლს. ერთხელ ერთ სომხის სოფელში ვისაუბრეთ. ღვინო და არაყი უხვად იყო, გამოძიებელი უცბათ გამობრუნდა. სანამ ცხენებზე არ შევსხედით, არ ეტყობოდა მაინცა და მაინც ძალიან ღვინის მოკლდება. მხოლოდ ხმა მალლა ლაპარაკობდა და ყვიროდა, სულ ვიცი ვინც „მაშენნიკი“ და ქურდია ჩემს რაიონშიო“ და სხვ.

შევსხედით ცხენებზე. ვუყურებ: ეს ვეებერთელა კაცი უნაგირზე მწვადივით გაწოლილა და ხელები ცხენის კისრისათვის შემოუხვევია. ცხენი ძუნძულობს და გამოძიებელიც ისე ყანყალობს, რომ ლამის გადმოვარდა. გააჩერეს, ჩამოიღეს და უფრო კარგ მოსიარულე ცხენზე შესვეს. სამწუხაროდ, ახალი ცხენი თუმცა თვინიერი იყო, მაგრამ დაუკოდელი გამოდგა. შორს ფაშატი დაინახა, დაიქიხინა, გაჩერდა და ოდნავ მიტრიალდა. გამოძიებელმა ნელ-ნელა ვადმოიწია და დაეშვა ძირს სიგძისად. მიეშველენ, წამოაყენეს, გაფენთხეს და შესვეს კიდევ ცხენზე. კვლავ იგივე ისტორია განმეორდა. მეტი გზა არ იყო, ჩაფრებმა დაიქვიეთეს, ერთმა ცხენს აღვირში მოჰკიდა ხელი და წინ გაუძღვა, ორი კი აქეთ-იქეთ ამოუღდა და ხელები მხრებში შეუბიჯეს.

სასაფლაოზე რომ მიველით, გასაქრელი მკვდარი ამოღებული არ დავგვხვდა. გამოძიებელმა ერთ

თი კარგათ შეუკურთხა მამასახლ-ს და მუშტი შემოუქნია, მაგრამ თვითონ წაიქცა. „ცემა უნდა ამ მამაძაღლებს, მართალია თუ არა, დოქტორ“! ყვიროდა, რაც ღონე ჰქონდა.

გავათავეთ საქმე. გამოძიებელი არ გამოუხიზლდა. კიდევ მოჰკიდეს მხრებში ხელი და წაიყვანეს გაკავებული ნელი ნაბიჯით. ასე ვიარეთ ოთხი საათი, სანამ ბინაზედ არ მოველით. მეორე დღეს სიცილით ვეუბნები ჩემ თანამგზავს, თქვენ ნამდვილი პროგრესისტი ყოფილხართ. მეორე საუკუნეში ყველაფერი წინ მიდის და აკი თქვენც წინისკენ მიექანებოდით გუშინ“! — „არა, დოქტორ, — მიიპასუხებს: გუშინ ძლიერ დავალე; ხუმრობა ხომ არ არის, ოც-და ათი ვერსი გავიარეთ“...

დიდი წარმოდგენა ქონდა თავის ღონეზე. „ორი კაცის ღონე მაქვსო, — ტრახახობდა: ერთხელ ერთი ფალევიანი დამეჭიდა, ძალიან ღონიერი იყო, მაგრამ მაინც მოვერიე. ჩვენ, რუსებს, ვერავინ მოგვერევა. აი, მაგალითად, შარშან ერთ ნავთსადგურში ჩვენი და ინგლისური მატროსები წაიჩხუბნენ. რომ დასცხეს ჩვენებმა ჩვენებურად, რუსულად, მიწსთან გაასწორეს რაღა! „ნუ ი კრიშკა“ (ну и крышка *). დაამთავრა საუბარი ნიშნის-მოგების კილოთი.

საშუალო სწავლა სემინარიაში დაემთავრებია, და, როგორც ყოველ სემინარეულს, თავი ფილოსოფოსათ მიაჩნდა. არავის ვურჩევ იკამათოს ჩემთან ფილოსოფიის შესახებო. ფილოსოფია ზედმწყენით ვიციო „აი გუშინ, მაგალითად, — მიამბოვრებთხელ - ლესნიჩი და აქცოზნი მეკამათებოდნენ. მსეთი კითხვები დავუყენე, რომ ბოჯინჯგალი აღარ გადავდგმევი, გავაშტერე, გავაჩუმე „ნუ ი კრიშკა“. ძალიან უყვარდა ეს „ნუ ი კრიშკა“; ყოველ ტრახახს ამ სიტყვებით ათავებდა.


ნამდვილათ კი ბედნიერმა გამოძიებელმა „ინჩიც“ არ იცოდა რა ფილოსოფიისა და მეცნიერებისა. და ან კი რა საჭირო იყო, რაში გამოადგებოდა ან ერთი ან მეორე?! სამსახურში დაწინაურებისთვის საჭიროა მხოლოდ ერთგულობა, მუყაითობა და უფროსის პატივისცემა. ამ მხრით კი იგი არავის ჩამოუვარდებოდა და, დარწმუნებული ვარ აქამდის ბიუროკრატიული კიბის მაღალ საფეხურზე შეფორთხდებოდა.

(შემდეგი იქნება)

ექიმი.

*) ე. ი. მორჩა და გათავდა. ჰარდაპირი მნიშვნელობა კი ხსენებული სიტყვების არის: „და აი სახურავი“. ე. ი. „გზა დაეხურათ“.

...იქნება ხსნა და შევლო!



სიმართლის ჩანგი მომხარული ვაქვლერე ნელა-ნელაო, მხურვალე გულით დმერთს ვსთხოვე გაქირვებულთა შევლო!..

მაგრამ ამაოთ შეიქმნა ჩემი ვედრება ყველაო, ღმერთმან სთქვა: — „ხელი გაისვით მაშინ იქნება შევლო“!..

ირგვლივ ტანჯულთა გოდებამ ნახევრად დამანელაო, ვინლა განკურნავს მათ წყლოლსა, სად არის ხსნა და შევლო?..

უსამართლობამ სიმართლის გზა ძღვეით დააბნელაო, სნეული კვდება უწამლოდ... ძალამ დაჩაგრა ყველაო...

მაგრამ არ მჯერა სიმართლემ კვალი დ:ჰკარგოს ყველაო, არ მოავლინოს განგებამ ოდესმე ხსნა და შევლო.

სიმართლის ჩანგო, ნუ სდუმხარ, იქლერე ნელა ნელაო, იმედი მიეც ტანჯულებს... იქნება ხსნა და შევლო!

ფ.ჩუ მხეიძე.

მსდემოჟრი სიხრქნე.

ვინც ჩენსავით არ დემაგოგობს — ქვეყნის მტერია

ვინც მე მამხელს — შავრაზმელია
 ვინც სიმართლეს მეტყვის — ცილის მწამებელია
 ლანძღვა-გინება — დაურღვეველი საბუთია
 მოყვარე, თუნდაც არამზადა და ბორბოტ-მომქმედი აქე, მტერი — პატიოსანი მოკამათე — ზრახე.
 მოწინააღმდეგეს ნურც გაუგონებ, ნურც მოუსმენ
 შენ შენი არახუნე და დაფქვი.

მონადირე.

ჭ რ ო ვ ი ნ ც ი ა

ზ ა კ ვ რ ი თ

(ქუთათური ამბები)

რუსეთის უშველებელს სახელმწიფოში არ ვიცი, რომ ქუთაისის მაგვარი მეორე ქალაქი მოიქნოს. აქ რომ ამბები ხდება, მგონია, დუმბადის იაღტაშიაც არ



იყოს! ჯერ ლექსი იყო, ამას ინგუშობა მოჭყვავ და ახლად აჭარღობს... მკვიდრმა მცხოვრებმა ვერც კი მასწავრო კარგათ შეტყობს იმისი, თუ რა ეპრობანებოდა, რას გორ უნდა მოხერხებოდა ლექს-ბატონს. მიინაფრდ-მოინაფარდა, მიღეკ-წაღეკა და გაუდგა გზას. ამას ინგუშობა-ტონი მოეჭვა, ირდი-გარდა გადაიარა მკვიდრის ზურგზე და წავიდა. ახლა აქ აჭარას. სამღვთო სჯულიდან მასწავლეს: „Смѣшеніе языковъ“ — ასეა ჩვენი საქმე...

იმერლლბა უნიკლა ხალხი არაა, მარა ორ-სამ წელწადში, ვაჟო, ლეკური. ინგუშური, აჭარული რა ფერათ შეიგუოს, ის კი არა აკერ ას წელწადზე მეტია სულ ერთსა და იმავეს გვერდინებთან, მარა არ მოგრჯულებით... ეს რასაკერელია გულისა და ხსიათისაგანდ მომდინარეობს. თუ კი ბეჭითის გულებითა და ხსიათით შეეკიდები კაცი. მისთანა რა საქმე იქნება მალე არ დაძლიო...

...მარა ამ იოსებ კავაბაძის საქმე მაინც ძაან მაკვირვებს. ეს იმ ჯურის ხალხის ნაკლეჯია, რომელნიც ცენტრალიზმის თავიანთს სცემენ. და მცოდინა ნეტავი, რომელ ენაზე უნდა ილაზარაკოს ამ ცენტრში?!

ქუთაისში ეხლასან ცათავდა შავი ქვის მრეწველთა კრება. მართალია, ჩემი არ იყოს, კაი მოზარდებსა ჩვენში ბევრი ვერ დაიტრახახებს, მარა ამ კრებაზე რომ მე იოსების რჩები შესმის, ვაჟა, — იმით მოთმინებას — მორუსულე მრეწველებსას!. უცხო ენის არ ცოდნა, დიდი ცოდვა არაა, მართალია, ამას არც მალევე ბევრა მორჩეები და გამოტყეხილათ ამბობენ — ქართულად რომ მათაქმევიანებდეთ, უფროსა გაცეციებდით, რისიც თქმა მინდაა!.. მარა იოსები არ ტუდებს! მისთანა რიხით ადგება და ბრინით იწეებს თავის აჭია-ბაჭიას, უთავოს, უბრალოს, რომე თავი თუ უორესი, ან როდინევი არა, კარლო ჩხეიძე მაინც გონია, რომელსაც რუსული ენა, მამა მისის ანდერძის მიხედვით, იმ თავითვე სედ-მიწვევით შეუსწავლია, თუმცა ღუმაში „შიშლიკ კუშიტო“ მაინც უთხრეს იმ ოჯახ-დაქტეულებმა.

იოსების რჩებმა ერთი ამბავი მომაგონეს, რომელიც ამ დღეებში მოხდა აქ ერთს სასწავლებელში საღვთო სჯულის გამოცდაზე. მღვდელი უმცროსი კლასის მოწათეს „ეკზამენს“ აჭერინებს... მოწმებათ სხვა მასწავლებლებიც არიან, მხოლოდ ქართველი მარტო მღვდელია. —

— აბა, თქვი, ბოშო, „მამა ჩვენო“ ქართულათ? — ეუბნება მღვდელი. ბავშვი უტიფრათ, რიხით იწეებს:

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავ სახელი შენი... არ გამოწერეს გამჩენი, მამაო, ამის მეტი არ ვიცოდე ზეპირათ ქართულათ. რა კენადვლება ამგენს მაინც არათერი ეურებათ, ახლა არ დამღუბო და დედა ნუ მომიკვდება, მამა ნუ მომიკვდება, წყლივით დევისწავლი მამა ჩვენო... ამინ!...

იოსებ კავაბაძესაც თამამათ შეუძლიან ილაზარაკოს... მისი იწილ-ბიწილო არავას არ ეურება!

გოციბიძეს ვინტი

ჭიათურა. აქაურობის სურათი.

დაეცა შავი ქვის წარმოება. დაცარიელდა ჭიათურა — შარშან თუ ათასზე მეტი ხალვადრები დადიოდა, ეხლა სამიც არა სჩანს. ქუჩაში ვერ ჩაუვლიდა ადამიანი დატვირთულ ცხენებს და ურემს, ეხლა კოპწით ჩაცმულიც ისეირნებ...

დაბრუნდნენ შავი ქვის მრეწველები ქუთაისიდან; კენკობია დ.მარცხდა — ისევ ძველები გავიდა, შერჩათ ქეფი სოლომონის პარტიას, მაინც გააშავეს ნასწავლი „ხაზეინი“. სიეზღში ახალი, თურმე, ის ყოფილა, რომ ახალ შენობაში გადასულან, სიეზღმა გარეკა მოსამსახურეები, შეამოკლა შტატი-საბჭომ შინაურებს ახალი ადგილები გამოუჩინა; — ვინ სთქვა, რომ ნათლი-მამობას ჩვენში ყავლი გაუვიდაო...

აქაურ საავადმყოფოში გამგე ექიმის მაგიერ, ორის კვირით „ხირურგი“ დარჩა, გააჭირა საქმე, დღე ერთი იყო მისი გონება და ლანძღვა ათასი, შეუვარდა ერთს დღეს მზარეულს და გინებით რომ იჯერა გული, მექარა დაუწყო — მოიცადეთ ცოტა, როცა მე გავხდები საავადმყოფოს გამგეთ, მაშინ ნახათ თქვენ სეირსო, თქე აზიატებო თქე ნაო, ოხრანა აქვე მეყოლება თქვენს ასალაგმათაო. და ეს კაცი მეორე სათათბიროს წევრი იყო — „ტრუდოვიკებს“ ეკუთვნოდა...

აბანო შესწყვიტეს, უსაქმობის გამო, მათი მოსამსახურეები გაიფიცნენ... ჯანაფირი რად მოგვიკლესო... ბაზრის ქუჩა იკირწყლება — როგორც ამბობენ ბაზარნიკის სახლამდის კეთდება. დადგა საერთო კრიზისი. ვაჭრობა სულ დავარდა. თვით მოვაჭრეები, მუშაობისაგან დაქანცულნი, ღმერთს ევედრებიან — დღეში ოთხი საათი ქენი, ადრე დალამდესო... ზინგერის მალაზიას კანტროლი ჩამოუვიდა, მასაც დასჭირდა — ახალი ცოცხი...

აქაურს სამკითხველოში — იაგვების შიშით თვით გამგეც ვერ შედის... გავთების საქმეს ნულარ იტყვიო, კვირაში სამჯერ ძლივს მოდის... აქაური აგენტი სულ ჩივის დევილზე კაციო...

უსაქმობის გამო, ერთი მეორის ქიშპობა დეიბადა, ამას მოჰყვა საედიტარო სამართალი, ერთს დღეს ჩვენს ვანოს ვკითხე — სად მიეჩქარები მეთქი? — რას ამბობ კაცო, სამს ადგილას ვარ დღეს მსაჯუ-ადო. რა უშავთ მარკა მაინც არ სჭირდებათ!

დღევანდელი ჭიათურის სახე ეს არის.

ა — ბიჭი-ბიჭი.

ახალი სიმღერა

(ვუძღვნი „ხეობელს“)

ჩვენია მთელი მსოფლიო! — შრომის შვილს მისცა ზენამა, უკვე აღსრულდა რაც მითხრა ოცნების აღმაფერენამა...

სუყველა... ყველა ერთნი ვართ ძმანი ვართ, ქვეყნის შვილები, ჩვენს წინ ძრწის დიდი, პატარა ლომები ვართ და გმირები...

რასაც მოვითხოვთ ის არის—
 მორჩა, გათავდა კანონი,
 სუყველა თანასწორნი ვართ,—
 აღარც ყმა, აღარც ბატონი!

მაგრამ რადგანაც პირველად
 ჩვენ შევებრუნეთ ქვეყანა,
 პირველ შრომისთვის ყოველთვის
 აგვირგვინებენ ყველგანა...

თქვენ მონის ბედით გაზრდილნო,
 მაინც და მაინც იცოდეთ,
 ყური არ უგდოთ არავის
 თუნდ ჯოჯოხეთშიც იწოდეთ...

იქნება გითხრან: „ეგ ხომა
 ის არის რაც რომ წინეთო,
 როგორ მოტყუვდით ბრაცვებო,
 და ეგ რა დაადგინეთო“?—

მაშინ ამაყად მიუგეთ:—
 „ხარკსა ვსწირავდით ბატონსა,
 და ეს ძნელია მადლობის...
 ახალ დროების მომგონსა..“

დღემდე ვინც სისხლად გვწურავდა,
 არა მალავდა ძალასა,
 შვილს ყელსა სჯრიდა და ზედვე
 აკლავდა მშობელ მამასა,

რომ არ ვუყვარდით, ეს მიტომ
 მას მოსდიოდა მტრობითა,
 და დღეს თუ მოხდეს, რა უშავს?—
 ისეა... მეგობრობითა...

ჩვენია, ჩვენი მსოფლიო
 დავმარხვით ყველა კანონი,
 ჩვენა ვართ ძველის შემცვლელნი
 და ახალ წესის მომგონნი.

ეკალი.

ბ ც ხ ა !..

(ბ-ნი ყარბის სხასუხოდ)

ბ-ნი ყარბი არა ცხრება!

იგი ჭანც გაწყვეტით განაგრძობს თავის უმადურ „საქ-
 მეს“...

უდღეურ და უკამურ რუსულ გაზ. „Наша Жизнь“-ის
 № 5-ში ყარბი ასე იწყობს თავის შინაარსით ღარიბ ეპის-
 ტოლეს:

„Подвожу итоги нашей полемики“
 ერთი ჰკითხეთ ამ აზადრუკ და ქალაჩუნა კაცუნისა:
 ვინ, როდის და სად „ეპოლემიკებოდა“ მას?

ქართულს მწერლობაში, რაოდენადაც ჩვენ გვახსოვს,
 ყარბისათვის ხმა არავის არ გაუცია და მით უფრო მასთან
 „საპოლემიკოდ“ არავინ არ გამოსულა.

„Много чести“, ბ-ნო კარიბ-ო!

ათასში ერთხელ თუ მოიცილიდა „ნიშადური“ ყარბიზე

დასაცინვად, თორემ მასთან „პოლემიკა“ აზრათაც არავის
 მოსვლია...

ნუ თუ ყარბის „პოლემიკად“ შეიქმნის რაიმე
 ღარიბი, გამოფიტული და წყალ-წყალა „Листк“-ები,
 რომელსაც თვეში ერთხელ გამოაზოხორიკებს ხოლმე და რომ-
 მელსაც მარტო თვითონ თუ კითხულობს და ორიოდვე მოც-
 ლილი მისი „აფხანიკები“?!

რა სულელური გულუბრყვილობაა!

მაგრამ დავანებოთ თავი ყარბს ს გასიებულ, დაავადე-
 ბულ თავმოყვარეობას?

დღე, თვითონ მოუაროს და უჭირისუფლოს თავის „მა-
 ნიაკობას“!

ნუ ვიქნებით აგრე სასტიკი.

ხშირად ფუჭი ცხოვრება და სიყრმიდან შეთვისებული
 „ტვინის ლიტინი“ უფრო უარესს დამართებს ხოლმე ადა-
 მინას!

ამ უამად ჩვენ გვანტერესებს ყარბის „აბლაკატობა“
 მისი არამკითხეს როლი ჩვენებური ესდეკების მართლება—
 „რეაბილიტაციაში“.

ბ-ნი ყარბი ილანძღება-ეკამათება რა ესფერების ორ-
 განოს „ისარ-ამირანს“ ი. ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ,
 გზა-და-გზა ჩვენც, ე. ი. „ნიშადურსა“ და მის მოთავეს ვ.
 გუნიას, ტლინკებს გვესვრის...

საბრალო და სასაცილოა ყარბი, თუ იგი ფიქრობს,
 რომ მისი ტლინკები საწყინი ან სატკენია „ნიშადურისათვის“.
 მანიაკის ტლინკები და წიხლები არც სატკენია და
 არცა საწყინი!

ეს ერთი. მეორე:

ვერც თქვენ და ვერც სხვა ვისმე თქვენის „აფხანიკურ“
 ბუნებისაგან დღემდე ვერაფერი გითქვამთ და ვერცა როდისმე
 რასმე იტყვიოთ არსებითად იმ ბრალდებაზე, რაიც რაინდუ-
 ლის უშიშრობით და გაბედულობით წამოაყენა „ნიშადურ-
 მა“ ი. ჭავჭავაძის ვერაგულის მკვლელობის შესახებ.

ერთი სიტყვა რა არის! — ერთი სიტყვივითაც არ დაგირ-
 ღვევით და არ გაგობათილებით არც ერთი საბუთი, რაზე-
 დაც „ნიშადური“ ამყარებდა და დღესაც სამართლიანათ ამ-
 ყარებს დიხაბაც თქვენთვის მომაკვლინებულ ბრალდებას.

ესეც არ იყოს, არც თქვენ და არც თქვენი „აფხანიკები“
 სულაც არ ცდილობართ არსებითად უარ გეყოთ ჩვენი ბრალ-
 დება.

მართალია, ლიტონი სიტყვები ბევრი იყო და უფრო
 მეტი იქნება შემდგომაც, მაგრამ სწორედ ეგ ლიტონი სიტ-
 ტყვები, ეგ თქვენი გამუდმებული და დაჭინებული ბოდვა-
 კენესა: ფედერალისტებმა ცილი დაგვწამეს და სხვაო, თქვენს
 არარაობას და დანაშაულს ამტკიცებს, აორკეცებს და აღრ-
 მავებს...

ხალხი და მისი სინილისი, ვრი და მისი ხმა შესაძლე-
 ბელია სწორე გზას გადასცდეს, ცრუ და ყალბ ბელადებმა
 დროებით ცდომილებაში შეიყვანონ, მაგრამ არასოდეს ხალ-
 ხი და მისი სინილისი მონაწილე არ განდება ვისიმე რაიმე
 ბოროტ მოქმედებაში.

ერი არასოდეს არ შეცდება კეთილისა და ბოროტის
 დაფასებაში. ერის გულსა და სულს, მის წმინდათა წმინდას
 თვისებად და ღირსებად აქვს მინიჭებული სიმართლე იგრძ-
 ნოს და აღიაროს იგი.

ხმა ერისა—სმა დვთისაო, ნათქვამია.

ჭო და სწორედ ხალხის სინილისმა და ერის ხმამ გო

ლიათის გამბედაობით შეგვემოსა ჩვენ და უშიშრად გვათქმევინა ის, რაცა ვითქვით, რაც ყოველს კერძოთ და ყველას საერთოდ გულში ჰქონდა დაგუბებული და პირზე ეკერა...

კარგად დაფიქრდით, პარტიული ბურჟუაზიდან გამოერკვიეთ და თაღლითობას თავი დაანებეთ.

ან დახუმდით, როგორც დღევანდლამდე სდუმდით წამოყენებულ ბრალდების ყოვლად დაურღვეველ საბუთების წინაშე, ან არა და თავი იმახთლეთ, მაგრამ არა როსკიპულის ურცხვობა—უშვერობით და ყალთაბანდობით, არამედ ვაქცაურის გულახდილობით და უშიშრობით.

საბუთებს—საბუთები წამოუყენეთ. ფაქტებს—ფაქტები დაუპირდაპირეთ, ლოლიკურ დასკვნას მაგალითების ჭეშმარიტება დაატოლეთ და მაშინ ვნახთ მართლა ჩვენა ვართ „საბაგელი ცილის მწამებელნი“ თუ თქვენა—„სახიზლარი ბოროტ-მოქმედნი“!?

მანამ კი ჩვენ ვდგევართ ჩვენს წინანდელ პოზიციაზე და იმ მოკლედ აკინძულ საბუთებზე, რომელნიც აღნიშნულ იყო „ნიშადურის“ № 38-ში.

არც იმას დაგიმაღავთ, რომ რედაქციის პორტფელში კიდევ მოიპოვება სხვა უფრო მამაკედინებელი ფაქტები და მაგალითები, მაგრამ ისინი შემდეგისათვის იყოს—იმ დროისათვის, როცა თქვენ რასმე იტყვიან არსებითად.

თქვენ თვითონ ამბობთ, ბ-ნო კარიბ-ო, რომ «налогороднѣе прямое сознание своей вины». ჩვენც სწორედ ამაზე ვდგევართ. დიხაბუ სჯობია პირდაპირ აღიაროთ ის შემაძრწუნებელი ცოდვა, რომელიც აგერ შეათე თვა მძიმე ლოდვიით აწივს თქვენის ბუნების სოროს...

რაც შეეხება, ბ-ნო კარიბ-ო, თქვენს ოცობოცობას, ესე იგი, იმ იდუმალ ზრახვას, რომ „ნიშადურის“ მართებული, გულწრფელი და გაბედული სიტყვა დაუკავშიროთ „ისარ-ამირანის“ ქალაქურ კეკელალობას, თქვენდა სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ—როგორც ყოველთვის—უნდაც განზრახ სიცრუეს ბოდავთ.

„ნიშადური“ ყოვლად დამოუკიდებელია რაიმე ზედგაფლენისაგან და მით უფრო „ისარ-ამირანის“ ორკოფ ტაკტიკისაგან.

„ნიშადურს“ პირველ დღიდან აქნობამდე, და იმედია შემდეგშიაც, ჰქონდა, აქვს და ექნება თავისი საკუთარი სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელსაც მტკიცედ ადგია და უშიშრად აღიარებს, მიუხედავად იმისა მოუწონებენ ამას თუ დაუწონებენ ესა თუ ის ჯგუფები, სხვა და სხვა კომიტეტები თუ რომელიმე პარტია.

„ნიშადურის“ საწყაო გულწრფელობაა, მისი თვალთახედვის ისარი სამართლიანობაა, მისი დასაბამი და საგანი უზენაესი ჭეშმარიტება და სიმართლეა, მისი საზომი ეროვნულ ხალხური ინტერესია.

„ნიშადური“ მხოლოდ საკუთარ შეგნებასა და სინიღისზე დამყარებული და მას არავის კარნახობა არა სჭირიან, ამიტომ სწორედ სასაცილო და საბრალა ყარბის ლათაიები იმაზე, რომ „ისარ-ამირანელებმა“ უარ ჰყვეს „ნიშადურის“ ბრალდება და ვ. გუნიას ზურგი შეაკციესო.

მერე რა ვუყოთ! ჩვენ ბევრს რასმე უცნაურობას შევეჩვიეთ ამ უკანასკნელ ხანებში და მითმ არა გვიკვირს რა და არც რაიმე გაგვაკვირვებს არა თუ მოწინააღმდეგეთაგან, არამედ მოკეთე და ერთმონაზრეთაგანაც.

თქვენ მიერ ჩვენი უარყოფა არ ახალია—ძველია. ჩვენ არც ისიც ვაგვიკვირდება, რომ ხვალ „ამირანელებმა“ თქვენის

მიბაძვით „შავარზმელი“ გვიწოდონ; ეგ თქვენს ცენტრალურ სინიღისის და იმათი ორკოფობის საქმეა.

„ნიშადურის“ ბრალდებას თქვენც ხომ უარყოფთ, მაგრამ რაც თქვენ ვერაგობათ და ბოროტ-განზრახვით მოვლით, ის „ისარ-ამირანის“ ქალაქურის კრძალვით ემართება. სამწერლო მოღვაწის სინიღისი მტკიცე და ფაქიზი უნდა იყოს და ეგ სიფაქიზე არავითარ მოსაზრებას არ უნდა დემოჩილოს და მსხვერპლად არ უნდა შეეწიროს...

მწერალი,—თუ კი იგი მართლა მწერალია და არა მეჯლანე, გრძნობს რა თავის მაღალ დანიშნულებას და უფლებას,—არ უნდა ლალატობდეს თავის დიდს მოვალეობას,—რომლის ერთად ერთი გზა უტყუველო სინიღისი და მკაცრი სიფაქიზეა,—თუნდაც ამისათვის უკუერთა და უსინიღისოთაგან ჩაქოლვა და სიკვდილიც მოელოდეს.

მწერლობაში, როგორც ცხოვრებაში; ორი გზა არის: ერთი უკვე გააფუთი, ადვილად და უხედაოდ სავალი, მეორე კი—ნარ-ველიანი, ოღრო-ჩოდროიანი და სახიფ თო და ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო მძიმე და მწარე ვიდრე პირველი.

ჩვენ ეგ მეორე გზა ვირჩიეთ და ამაზე არც ვწუხვართ და არცა რისამე გვეშინიან.

ბ-ნი ყარიბი სრულებით მართალია, როცა ამბობს: лишь сознание своихъ ошибокъ и заблуждений способствуетъ очищенію и оздоровленію той затхлой атмосферы, въ которой мы все живемъ и дѣйствуемъ“. ჰო და ჩვენც სწორედ ამაზე გიწვევთ, რომ გამოტყდეთ თქვენ ცოდოში და განიწმენდით და განსაეტკადეთ, რადგან ის წუმზე და სოროები, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ და მოქმედებთ დიხაბუ მოზხამულ მოწამლულია და ბოროტ ზრახვითაა გაყლენთილი!

რაერთი ხანია სწორედ ამას ჩაგჩინებთ „ნიშადური“ ბნელეთიდან ამოდით მზებზე! წუმზედან გადმოდით მშრალზე! აესულობასა და ავკაცობას არჩიეთ ჭეშმარიტება და სამართლიანობა!...

ჩვენც ხომ სწორედ ამაზე გვაქვს დავა და კამათი თქვენთან.

რაც შეეხება ვ. გუნიას ლანძლვა-თრევას, მის „პროვოკატორულ“ მოღვაწეობას, მის „შვარგისობს“ და სხვა ამ გვარ სახელწოდებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ვ. გუნიას ეგ სულაც არა სწყინს, რადგან, გუნიასივე არ იყოს, ამ უმად ისე „არია მონასტერი“, რომ ხშირად ადამიანს უფრო მეტად შეურაცხყოფს და შეტალავ სწორედ ქება და ხოტბა ისეთის ვაჟბატონებისა, როგორც ბრძანდებიან ყარიბი და მისთანანი, ხოლო მათი ლანძლვა-გინება კი პირიქით სჯებურია და სასახელოვო.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ გამოვსტკვათ ჩვენი უკიდურესი გაოცება.

ყველა ყველა, მაგრამ როგორღა იღებს ხმას ვისიმე „შვარგისობაზე“ ბ-ნი ყარიბი, ის ზნეობით ღრიბი ყარიბი, რომელიც ერთნაირის ერთგულებით ემსახურება ღმერთს და მამონას, რომელიც თვის და სასახელოდ „მწერლობა“ თურმე Вѣдомости С.-П. Градоначальника-ში!

როგორ კადრულობს ბ-ნი ყარიბი სხვის პატიონენაასა და კაცურ კაცობაზე მსჯელობას, ის ყარიბი, რომელსაც ინტრიგობისა, ორპირობისა, მელაძეობისა და სხვა მრავალ საქმეთა საგმიროთათვის ხშირად ცხვირპირში ისე უტყუანებდნენ, თურმე, თითქოს ის დალოცვილი მეზურნე კუპრიას დოლი ყოფილიყო!... სად ყარიბი და სად ზნეობა-პატიონენაა!

აცხა! აცხა! ბ-ნო კარიბ-ო!

მონადირე.

ნაციონალური კითხვა

(„ცხოვრების სარკე“ №10)

„ანმა“ ბრძოლა განაცხადა,
ჰკათო იმათ მიაძახა,
ვინა ჰყრიან ესფერები
და ის „ვინცხა“ კიდევ „რაცხა“
ეგ უმზგავსი ზუბრთა გროვა,
რა ხალხია რის მაქნისი,
მაგათი ხომ სულ არ ვარგა
არც გუთანი არც სახნისი.

შოვინისტად დაიბადნენ
ეგ ბედკრულნი, ეგ ბებრები,
მაგათ პარტიაში შედის
პატრები და თვით ბერები.

მაგრამ.. იცით რა უნდა ვთქვა,
ერთში უნდა კი გამოვტყდე
„ავტონომური“ გარკვევა,
კარგი არის მე არ „წავწყდე“.

„დაკნინება“ დასაწუნი
გეფიცებით აღარ არის!....
თუგინდ მთელი „კავკასია“
ერთეული კარგი არის!....

ასე ჩემო მარქსის ძეო,
ხან ასე და ხან ისეო,-
ხან ცენტრი და ხან უცენტრო
მმართველობა სამოთხეო....

კმარა, გეყოთ „ან ბანებო“
ასე ქვეყნის გაცურება,
გიცნოთ ხალხმა და შემდეგ კი,
თქვენს გზას აღარ გაუდგება!..

დროებით ბათუმელი.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

გაზაფხულის საღამოა. ორთაქალის ბაღებიდან
ბარბაციტ მოდის ნაქეიფარი მეშუშე სია არტემა.
მეტად უჭირს სიარული სახლამდე ვერ ახწევს
ერთ-ერთ კედელს მიეყრდნობა და გზაშივე ქუჩის
პირას ტკბილად ჩაფიქნება. ფეხთ ახალი ჩექმები
აცვია და უჭერს კიდევ. ჯიბგირი დიდხანია უთ-
ვალთვალვებს. ცოტახნის შემდეგ მივა ჯიბგირი
ფულსაც ამოაცლის და ჩექმასაც გახდის. ერთს წა-
ლას რომ გახდის, არტემას იამება, გონება გაბრუე-
დულს თავის სახლში ჰგონია თავი, ჯიბგირი ცოლად
მოეჩვენება და აღერსით ეხვეწება:

— მაკრინჯან, შენი ქირიმე, ჩქარა, მეორეც
ჩქარა გამხადე!

ჯიბგირიც გახდის მეორე წალას და თავის-

თვის ამბობს:

— ამ ვირ-ობერს, მაშ ცალი ჩექმა თუ ჩაქნა
მომადგება.

ერთხელ ამავე სია არტემას ჰკითხეს:

— არტემ, ერთი გირვანქა ბამბა უფრო მძი-
მეა თუ ერთი გირვანქა რკინაო?

— ვა, მაშ არ იცი, რომ რკინა უფრო მძიმე
იქნება?

ჰეტრუშა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ლაჩრებს და მეჭორებს.

ბ.ნო რედაქტოროს გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი.
„ეშმაკეთის“ „შენაკლამ“, როგორც მოსალოდნელი იყო, სა-
მედიატორო სამართალზე უარი განაცხადა და ამით სრული
უფლება მომცა ვუწოდო მას და მთელ ეშმაკეთის საბუღალს:
უსინდისო ცილის მწამებელთა და ლაჩართა ხროვა, ამათანა
უკაცრავლი სიტყვა, „მწერლებზე“ არის სწორედ ნათქვამი:
ბელაუნი დაიხოცნენ ვირებს დარჩათ მოედანო!

ელ. მაჭუტაძე.

პასუხად „ეშმაკეთს“.

საწყალო ვერწოდლო დემოკრ.თთა ნაძირალო, უსწავ-
ლელო და თავხედო! ნუ თუ თქვენი ჰკვის მასალა მაგაზედ
შორს არ მიდის? რაზედ აცდენთ ტყუილად ქალაქს, და
მკითხველს? იქნებ გგონიათ ამ გვარ საბაზრო რთმებით,
ხალხს სასწახური გაუწიოთ და ისტორიაში მწერლის სახელი
დამსახუროთ? თქვენისთანა მწერლებს ხალხი „ბერიკებს“
ეძახის, რომელნიც ტყუილს და მართალს ერთ ფასათ ასა-
ლებენ ხალხში. და ითმენს ხალხი მარტო იმისთვის, რომ
ერთობა. ნუ თუ გგონიათ თქვენი წერილებით, მე გამაშა-
ვოთ ხალხის თვალში? ვერა, ხალხმა უკეთ იცის ავის და
კარკის გარჩევა და თუ სადმე მოგვიხდა მე და თქვენ
ბ. „უცხო მთიელო“ ხალხის სამართლის სასწორზედ დადგო-
მა, მაშინ გავიგებთ ჩვენც და პრესაც. ვის უნდა „ეშმაკის
მათრახი“ და ვინაა იმის ღირსი, ეხლა კი მე გირჩევ მაგ კო-
რებს თავი დაანებო და ისევ იმ ბაგაზედ დაება, საიდანაც
აეგლიჯო, ეგებ სწავლამ მაინც მოგცეს რიგიანი მიმართულება.

გ. ნახუცრიშვილი.

პასუხად ქ. ვ. მალაქიაშვილს.

(იხილე „ეშმაკ. მათრახი“-ს 29 №.)

„ეშმაკის მათრახი“-ს მედმივი თანამშრომელს და
ჩვენი ქვეყნის „ცნობილ ჰოეტ-ბეჟეტრისტს“ ბ. ვ. მა-
ლაქიაშვილს წაუკითხავს „ნიშადურში“ ჩემი წერილი და
მწარე სიცილი ასტეხია. აქ საკვირველი არაუგონია! „ნი-
შადურის“ ნიშნობლივ თვისებასაც სწორედ ეს შეადგენს:
ვისაც მოეჩიება ძალზედ აუწყავს და მწარედ ადინებს და
ატირებს. შემდეგ სიცილიან აღმანათი ერთხან უთავბო-



მელა ყარიბი, ჭკუით ღარიბი,
 მუშებს აქებებს მწვავე „ნიშადურზე“
 და თვითონ მარტო რომ ვერას გახდა,
 „ეშმაკს“ მიმართა, მოისვა ზურგზე.

ტალახის გუნდას—ჭორისა გუნდას
 შემოხსნის პირსა, აწვდის მკითხველებს;
 ხან „ნაშა ყიზნში“, ხან „ეშმაკეთში“
 „ნიშადურზედა“ ჭორებს ავრცელებს.

ლოდ აბოდებს. ჩვენ „უებარ ზოეტსაც“ ასე მოსვლია, —
 ჯერ მწარედ გასცინებია და მერე ბოდვას მოჭეულობია. ამ
 ბოდვის დროს ბ. სილოვანიც არ დაუვიწყრია. (ამ უოგ-
 ლად პატიოსანის აღმანის წარა-მარა ხსენება და მისი
 უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ ლანძღვა-გინება ამ ბოლო
 დროს უველა დიდსა და პატარა „ათხანისკ“ დასჩემდათ).
 ამ ვაჟბატონის თქმით სილოვანის თანამოსზრებმა სა-
 მარცხენო რამ არის, რითაც შეიძლება კაცს დასცინო
 კიდევ, ხოლო უოველგვარ საკუთარ აზრს მოკლებულ
 ტვინ შებოჭვილ დოკტორისთვის ამხანაგობა, რომელთა
 „საკმირო საქმეების“ სულ მცირედი ნაწილიც არ არის
 გამოუმუყურებულად ურჩხლ-გაზეთების ფურცლებზე, სა-
 სახელო და სასიამოლოა. ვაშა ზეკარდმო ნიჭით ცხუ-

ბულო ზოეტო!.. მე სილოვანი არ მიმანია ჩემი მი-
 შთაგრად და საზოგადოთ თქვენსავით საზოგადოებრივ
 ზად არაფინა შეავს დასახული; სხვაფრივ ჩემი მიმართუ-
 ლებისა და მსოფლ-მხედველობის არა თუ მრცხენია ბი-
 რიქით ვამურობ კიდევ. მე თქვენსავით ნაყოფიერი მწე-
 რალი არ გახლავარ და არც აწი მაქვს პრეტენზია გავხდე,
 ხოლო რაინცა შეეხება „სილოვანის კამანდებს“, ეს ისევ
 ნიშადურის წყალობით გამოწვეული ბოდვის ნაყოფია,
 თორემ თუ, როგორც ბრძანებთ, მიცანი თ ვინცა ვარ, მა-
 შინ „დიდი ხნის დუმილიც“ არ უნდა დაგეწამებინათ.
 თქვენ ბ. ზოეტო, ადბათ საკუთარის ადბათი მზომავთ,
 როდესაც თავისს საარაკო ბოდვის დასასრულში ვიდაცე-
 ბის წინაშე „ქვეშ გაგებთსა“ და მლიქვნელობას მწამებთ,
 დამისხელებთ, ჩემი ცხოვრებიდან ისეთი შემთხვევა, ისე-
 თი ფაქტი, რომელიც ამ საზიზღარ ბრადლებას ამარ-
 თლებდეს და საზოგადოთ ჩემს ზნეობას ჩიჩქს სცხებდეს,
 წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებსა შექნება თქვენვე დავი-
 ბრუნოთ ეს საძაგელი სახელი.

თქვენ, ბ. მალაქიაშვილო, უნდა გცადნოდათ, რომ
 ამ გვარი ბოდვითა და ლათაიებით ვერაფერი სარჩლს
 გაუწევდით ჩემ მიერ აღნიშნულ ფაქტების ჩამდნთ. თუ
 კი ასე გწადდათ მათი გამოჭმამგება, მაშინ უნდა ცდი-
 ლიყავით ამ ფაქტების გაბათილებას, თორემ ახლა თქვე-
 ნი აბდა-უბდითა და სიტყვების ბანზუედ აგდებით ქარის
 წისქვილებს ებრძვით მხოლოდ.

სოფლის მასწავლებელი.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.

მოითხოვეთ ეველგან
 ≡ გ. ლალიკის და ამხ. ≡
 საყუვეთესო ქარხნის
 ხილეულის წყალი
 ევემო და არომაცი მართლაც რომ მშუენიერი